ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

განკარგულების პროექტი ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” შესაბამისად (წესდება თან ერთვის).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ” ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების (ს/კ242009027) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (წესდება თან ერთვის).
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელია

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება (შემდგომში სამუზეუმო გაერთიანება) დაფუძნებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ და საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის” საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ.

2.სამუზეუმო გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონის „მუზეუმების შესახებ”, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების საფუძველზე.

3.სამუზეუმო გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4.სამუზეუმო გაერთიანება საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებას, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

5.სამუზეუმო გაერთიანების იურიდიული მისამართია: დ. ჩოხატაურის, დუმბაძის ქ. №13.

6. სამუზეუმო გაერთიანების ელექტრონული ფოსტა: chokhataurimuseum@gmail.com

მუხლი 2. სამუზეუმო გაერთიანების ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება.
2. კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, შესწავლა და დაცვა.
3. სამუზეუმო მასალის ექსპონირება და პოპულარიზაცია.

მუხლი 3. სამუზეუმო გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

1. დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების კატალოგში შეტანის ან სხვა სახის პუბლიკაციისას მოითხოვოს მესაკუთრის ვინაობის მითითება;

2. მოითხოვოს დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია სახელმწიფო სარესტავრაციო დაწესებულების მიერ, სათანადო ანაზღაურებით;

3. საჭიროების შემთხვევაში დროებით სარგებლობაში არსებული ექსპონატი შესანახად გადასცეს სახელმწიფო მუზეუმს სათანადო დოკუმენტაციის გაფორმებით;

4. მოითხოვოს დროებით სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო რეესტრში შეტანილი სამუზეუმო ექსპონატის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობა;

5. გაწევრიანდეს საერთაშორისო სამუზეუმო ორგანიზაციაში, ითანამშრომლოს უცხო ქვეყნის მუზეუმებთან და მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამუზეუმო პროგრამაში;

6. უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში არსებული სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა და სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება ექსპონატების მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

7.სახელმწიფო რეესტრში შესატანად წარადგინოს სრული ინფორმაცია სამუზეუმო ექსპონატების შესახებ;

8. უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

9. სამუზეუმო ექსპოზიციების და მუზეუმის ფონდის ბაზაზე უზრუნველყოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;

10. სამუზეუმო გაერთიანების ფონდში შეტანილი ექსპონატის გადაცემისას ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისებისას ექსპონატის მიმღები კისრულობს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ ყველა ვალდებულებას, რომელიც ჰქონდა ექსპონატის მესაკუთრეს.

მუხლი 4. სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა

1. სამუზეუმო ექსპონატი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას.

2. სამუზეუმო გაერთიანების ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციაა:

ა) ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;

ბ) მუზეუმის საინვენტარო წიგნი;

გ) სამეცნიერო-დამხმარე წიგნი;

დ) დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;

ე) ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი;

ვ) სამუზეუმო ექსპონატის მიღება-ჩაბარების აქტი;

ზ) სამუზეუმო ექსპონატის სამეცნიერო პასპორტი.

3. მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმებს ამტკიცებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

4. ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის გარდა მუზეუმში არსებობს დამატებითი სამუშაოთა დოკუმენტაცია, მათ შორის:

ა) სამუზეუმო ნივთის შესწავლის დეტალური აღრიცხვის დოკუმენტი;

ბ) სამეცნიერო მასალა-კატალოგები, ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო-კვლევითი მასალა და სხვა.

გ) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია სამუზეუმო სამუშაოთა წარმართვის შესახებ.

მუხლი 5. სამუზეუმო გაერთიანების სტრუქტურა და მართვა

1. სამუზეუმო გაერთიანების სტრუქტურა:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. (დაბა ჩოხატაური. ნ.დუმბაძის №13);

გ) ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმი (სოფ. ხიდისთავი);

დ) ნიკო მარის სახლ-მუზეუმი (სოფ. დაბლაციხე);

ე) მოსე გოგიბერიძის სახლ-მუზეუმი (სოფ. ქვენობანი).

2.სამუზეუმო გაერთიანების საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე” ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სახლ-მუზეუმების დირექტორებს და სამუზეუმო გაერთიანების სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი.

4. **სამუზეუმო გაერთიანების დირექტორი:**

ა) უზრუნველყოფს მუზეუმების მიერ მისი მისიის, უფლებამოსილების და მიზნების განხორციელებას, პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) უზრუნველყოფს კოლექციების უსაფრთხოებასა და დაცვას;

გ) უზრუნველყოფს მუზეუმების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას;

დ) სამუზეუმო გაერთიანებაში ფართო აუდიტორიის მიზიდვის მიზნით ახორციელებს მუზეუმების საქმიანობის პროპაგანდას საზოგადოებაში (ადგილობრივ, სამხარეო და სახელმწიფო დონეზე);

ე) შეისწავლის და ამტკიცებს სამუზეუმო გაერთიანების ზოგადი პოლიტიკას, მისი მისიის და უფლებამოსილების შესაბამისად აკონტროლებს მის განხორციელებას მუზეუმების ყველა თანამშრომლის მიერ;

ვ) ამტკიცებს სამუზეუმო გაერთიანების სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმას;

ზ) შეიმუშავებს სამუზეუმო გაერთიანების პერსპექტიულ სამუშაო გეგმას;

თ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს სამუზეუმო გაერთიანების საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

ი) სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით შეიმუშავებს და ამტკიცებს სამუზეუმო გაერთიანების შინაგანაწესს;

კ) დამტკიცებული სახელფასო ფონდის ფარგლებში განსაზღვრავს თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ლ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს სამუზეუმო გაერთიანებას ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

მ) იღებს გადაწყვეტილებებს მუზეუმის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ნ) პასუხისმგებელია ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ო) სამუზეუმო გაერთიანების წესდებაში ცვლილებისა და დამატების შესახებ პროექტს წარუდგენს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს;

პ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (ბრძანება);

ჟ) ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში აცნობოს მუნიციპალიტეტის გამგებელს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის შესახებ;

რ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

მუხლი 6. სამუზეუმო გაერთიანების ქონება

1. სამუზეუმო გაერთიანების ქონებას შეადგენს მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე” ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი მუზეუმების შენობები და სხვა უძრავი ობიექტები (მიწის ნაკვეთი, მოძრავი ქონება და ფინანსური რესურსები).

2. შენობები, მიწის ნაკვეთი, სხვა უძრავი ობიექტები მუზეუმს გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. სამუზეუმო გაერთიანების დაფინანსება

1. სამუზეუმო გაერთიანების დაფინანსების წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები (სუბსიდია);

ბ) ფასიანი მომსახურება (დამთვალიერებელის მიერ გადახდილი თანხები);

გ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ გადაცემული სახსრები;

დ) საქართველოს კანონმდებლობის ნებადართული სხვა შემოსავლები;

2. პირველი მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ მუზეუმის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

მუხლი 8. სამუზეუმო გაერთიანების საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგება

1. სამუზეუმო გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

2. სამუზეუმო გაერთიანების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას ამოწმებს სამუზეუმო გაერთიანების მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი გამგებელთან შეთანხმებით ან გამგებელი.

მუხლი 9. საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. სამუზეუმო გაერთიანება უფლებამოსილია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა და გასხვისება;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) სხვა გადაწყვეტილებები სამუზეუმო ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 10. სამუზეუმო გაერთიანების კონტროლი

1. სამუზეუმო გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2.სამუზეუმო გაერთიანების კონტროლს ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

3.სამუზეუმო გაერთიანება ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

4.სამუზეუმო გაერთიანება უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს უკანონო მოქმედება.

მუხლი 11. სამუზეუმო გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. სამუზეუმო გაერთიანების რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დადგენილი წესით, ახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თანხმობით.

2. ლიკვიდირებული მუზეუმების ფონდი გადაეცემა მხოლოდ ადგილობრივ ან სახელმწიფო მუზეუმს.

3. ლიკვიდირებული მუზეუმების შენობა-ნაგებობები გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 12. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. სამუზეუმო გაერთიანების წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხორციელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების“ წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ” განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებლი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*